ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამართლის სპეციალობის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა

I. **საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:** სამართალი Law

II. **უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური:** მაგისტრატურა

III. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** სამართლის მაგისტრი; Master of Law.

IV. **პროგრამის მოცულობა:** 120 ECTS კრედიტი.

V. **სწავლების ენა:** ქართული

VI. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი**:

სამაგისტრო პროგრამის მიზანია ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის მომზადება, მისი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. ტრადიციული და ინოვაციური მეთოდების გამოყენებით, შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესაბამისი, მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი და დამოუკიდებელი კვლევის უნარის მქონე კადრების მომზადება.

კურსდამთავრებულის აღჭურვა როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო სამართლებრივი სივრცის მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციით.

სამაგისტო პროგრამა სტუდენტს ამზადებს მოსამართლის, პროკურორის და სხვა იურიდიულ პროფესიაში შესასვლელად. ცალკეული პროფესიისათვის შესაძლებელია კანონმდებლობით ან შესაბამისი პროფესიული გაერთიანების მიერ გათვალისწინებული იყოს პროფესიის დაუფლებისათვის დამატებითი წინაპირობები.

კურსდამთავრებული უფლებამოსილია სწავლა გააგრძელოს სადოქტორო პროგრამით.

VII. **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**

- სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;
- საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება და
- უცხო ენასა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული B2 დონე) და სპეციალობაში გამოცდების ჩაბარება.

VIII. **სწავლის შედეგები: კურსდამთავრებულს უნდა ქონდეს შემდეგი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები:**

ცოდნა და გაცნობიერება აქვს საჯარო, კერძო ან/და სისხლის სამართლის მიმართულებით ღრმა და სისტემური თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები, რაც აძლევს დასმული კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახლებური ხედვის ფორმირების შესაძლებლობას. გაცნობიერებული აქვს შესაბამისი სფეროსათვის მიკუთვნებული საკითხების გადაჭრის გზები.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი შესწევს უნარი სამართლის მაგისტრატურის პროგრამის ფარგლებში მიღებული ინფორმაცია და უნარები შეუსაბამოს პრაქტიკულ სიტუაციას; განმარტების მეთოდების გამოყენებით შეუძლია კომპლექსური პრობლემების შეფასება და პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგნალური გზების შემუშავება. შეუძლია უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება.
დასკვნის უნარი ახლებური საკანონმდებლო მოწესრიგების, სასამართლო პრაქტიკისა და/ან მეცნიერული მიდგომების პირობებში შეუძლია ცვლილების კრიტიკული ანალიზი და გამომდინარე დასკვნის ჩამოყალიბება.
კომუნიკაციის უნარი შეუძლია აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით, აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებას წერილობითი და ზეპირი ფორმით მშობლიურ და უცხოურ ენაზე გადასცეს საკუთარი სამართლებრივი დასკვნები და არგუმენტები,;
სწავლის უნარი შეუძლია დამოუკიდებლად განსაზღვროს თეორიული კომპონენტებისა და პრაქტიკული გამოცდილების სინთეზი; სამართლის სფეროს უახლეს მეთოდებზე დაყრდნობით, ნორმატიული ბაზის, სამეცნიერო სტატიებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების განზოგადებული ანალიზის მეშვეობით, სწავლის დამოუკიდებლად დაგემვა და წარმართვა, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება.
ღირებულებები შეუძლია მხარეთა ინტერესების სამართლიანად დაბალანსების უზრუნველსაყოფად არსებული სამართლებრივი ღირებულებების გაანალიზება; ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულებების შეფასება; საჭიროების შემთხვევაში წვლილი შეაქვს ახალი ღირებულებების ფორმირებაში.

IX. სწავლების შედეგების მიღწევის მეთოდები:

1. **ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი**.
2. **დისკუსია/დებატები** – დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული

შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

3. **ჯგუფური მუშაობა** - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.
4. **წიგნზე მუშაობის მეთოდი.**
5. **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** - სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას.
6. **ევრისტიკული მეთოდი** – ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.
7. **შემთხვევის ანალიზი (Case study)** - პროფესორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს, რომლებიც ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან. მაგალითად, კაზუსის ამოხსნა.
8. **გონებრივი იერიში (Brain storming)** - ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და მისი გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ეფექტურია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედგება რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:

   - პრობლემის/საკითხის შემოქმედებითი კუთხით განსაზღვრა;
   - დროის გარკვეულ მონაკვეთში აუდიტორიისგან საკითხის ირგვლივ არსებული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად, დაფაზე);
   - გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობას ავლენს დასმულ საკითხთან;
   - კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა;
   - შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით;
   - უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

9. **როლური და სიტუაციური თამაშები** - სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მას ალტერნატიული თვალსაზრისის

ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, როლური თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.

10. **დემონსტრირების მეთოდი** – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მიეწოდოს სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს.

11. **ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი.**

- სწავლების **ინდუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან ზოგადისაკენ, ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას, პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ.
- სწავლების **დედუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.
- სასწავლო პროცესში **ანალიზის მეთოდი** გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, ამით მარტივდება რთული პრობლების შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.
- **სინთეზის მეთოდი** გულისხმობს შებრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლების, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას.

12. **ახსნა–განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას, მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

13. **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** – მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

14. **წერითი მუშაობის მეთოდი,** რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის, ან ესეს შესრულება და ა.შ.

პროფესორი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე.

X. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა: შეფასების ზოგადი წესი:

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით;
კრედიტის მისაღებად საჭირო მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა;

სტუდენტის ცოდნის შეფასება ხდება შემდეგი სქემით:

ქულები	შეფასება
91-100	ფრიადი, A
81-90	ძალიან კარგი, B
71-80	კარგი, C
61-70	დამაკმაყოფილებელი, D
51-60	საკმარისი, E
41-50	ვერ ჩააბარა, FX
0-40	ჩაიჭრა, F

XI. საგანმანათლებლო პროგრამის საგნების ჩამონათვალი და თითოეული საგნისთვის განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა:

სასწავლო გეგმა

სავალდებულო პროგრამა შედგება:

ა) პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე მიმართული მინიმუმ 30-კრედიტიანი კომპონენტისა და

ბ) სამეცნიერო კვლევის 50-კრედიტიანი კომპონენტისაგან, რომლის ფარგლებშიც მაგისტრანტს მოეთხოვება სამეცნიერო წერის კულტურის სწავლებაზე მიმართული 20-კრედიტიანი კომპონენტის დაძლევა (აკადემიური წერა) და სამაგისტრო ნაშრომის შესრულება (30 კრედიტი).

გ) სამაგისტრო პროგრამის კომპონენტების 40 კრედიტი ემყარება სტუდენტის თავისუფალ არჩევანს.

სამართლის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო გეგმა შედგება თეორიული და პრაქტიკული კომპონენტებისგან:

თეორიული კომპონენტი

№	სალექციო კურსის დასახელება	საგნის სტატუსი	კრედიტი

	მიმართულება I – კერძო სამართალი		
1.	საბანკო (ორგანიზაციული) სამართალი	არჩევითი	5
2.	საწარმოს კონტროლი კაპიტალურ საზოგადოებაში	არჩევითი	5
3.	შედარებითი საკორპორაციო (საზოგადოებათა) სამართალი	არჩევითი	5
4.	ევროპის საკორპორაციო სამართალი	არჩევითი	5
5.	სამართლის ტრანსფორმაციის პრობლემები	არჩევითი	5
6.	საკუთრების უფლება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში	არჩევითი	5
7.	შედარებითი კერძო სამართალი (პოსტსაბჭოთა ქვეყნების კერძო სამართლის კონტექსტში)	არჩევითი	5
	მიმართულება II – სისხლის სამართალი		
8.	არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება	არჩევითი	4
9.	მართლმსაჯულების განხორციელების პრინციპები	არჩევითი	5
10.	დაცვის ხელოვნება	არჩევითი	6
11.	სისხლის სამართლის პროცესი და სასამართლო პრაქტიკა	არჩევითი	4
12.	ინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული	არჩევითი	4
13.	ქმედების დანაშაულად კვალიფისაციის ზოგადი თეორია	არჩევითი	5
14.	სასამართლო პროცესის ორგანიზაცია	არჩევითი	4
15.	სისხლის სამართლის თეორიის მეთოდოლოგიური პრობლემები	არჩევითი	5
	მიმართულება III – საჯარო სამართალი		
16.	შედარებითი ადმინისტრაციული სამართალი	არჩევითი	5
17.	სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღება და დასაბუთებულობა	არჩევითი	5
18.	ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა	არჩევითი	5
19.	შედარებითი კონსტიტუციონალიზმი	არჩევითი	5
20.	საკონსტიტუციო მართლმსაჯულება	არჩევითი	5
21.	ადმინისტრაციული სამართლის პრობლემები	არჩევითი	5

22.	გარდამავალი პერიოდის მართლმსაჯულება	არჩევითი	5

კიოლნის უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამის მოდული:

კიოლნის უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული საგნების დასახელება	**სამართლის სამაგისტრო პროგრამაში საგნების შესაბამისი დასახელება**	**კრედიტი**
შედარებითი სამართალი	შედარებითი სამართალი	3 ECTS
გერმანული სამართლებრივი ტერმინოლოგიის შესავალი	გერმანული სამართლებრივი ტერმინოლოგიის შესავალი	3 ECTS
სასემინარო კურსი I	სასემინარო კურსი I	2 ECTS
სამოქალაქო სამართალი (ზოგადი ნაწილი)	გერმანიის სამოქალაქო სამართალი (ზოგადი ნაწილი)	6 ECTS
სახელმწიფო სამართალი I	გერმანიის სახელმწიფო სამართალი I	6 ECTS
სისხლის სამართალი I	გერმანიის სისხლის სამართალი I	6 ECTS
ვალდებულებითი სამართალი	გერმანიის ვალდებულებითი სამართალი	6 ECTS
სახელმწიფო სამართალი II	გერმანიის სახელმწიფო სამართალი II	6 ECTS
სისხლის სამართალი II	გერმანიის სისხლის სამართალი II	6 ECTS
სასემინარო კურსი II	სასემინარო კურსი II	2 ECTS
სამაგისტრო ნაშრომი	**აკადემიური წერა**	**20 ECTS**

კიოლნის უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამის მოდულის ფარგლებში სამაგისტრო ნაშრომის შესრულების უფლება აქვს მხოლოდ კიოლნის უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტს. ამ მოდულში სამაგისტრო ნაშრომის შესრულება ათავისუფლებს სტუდენტს აკადემიური წერის სავალდებულო კომპონენტისაგან.

თეორიულ კომპონენტში შემავალი საგნების ჩამონათვალი არ არის ამომწურავი.

პრაქტიკული კომპონენტი თავის მხრივ შედგება 3 მოდულისაგან.

მოდული I

- მერიის იურიდიული დახმარების პროგრამის ფარგლებში არსებული საადვოკატო კლინიკა, ინტეგრირებულია III მოდულის სავალდებულო კომპონენტი (15+5 კრედიტი).

- იურიდიული დახმარების სამსახურის კლინიკა, ინტეგრირებულია III მოდულის სავალდებულო კომპონენტი (15+5 კრედიტი).
- პრაქტიკული სამართლის კლინიკა, ინტეგრირებულია III მოდულის სავალდებულო კომპონენტი (15+5 კრედიტი).

მოდული II

- პროკურატურის კლინიკა (10 კრედიტი)
- პოლიციის აკადემიის კლინიკა (10 კრედიტი)
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის კლინიკა (10 კრედიტი)
- ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს კლინიკა (10 კრედიტი)
- აღსრულების ეროვნული ბიუროს კლინიკა (10 კრედიტი)
- საქალაქო სასამართლოს კლინიკა (10 კრედიტი)
- სააპელაციო სასამართლოს კლინიკა (10 კრედიტი)
- სასამართლო საქმისწარმოებისა და მენეჯმენტის კლინიკა (რუსთავის საქალაქო სასამართლოს ბაზაზე) (10 კრედიტი)
- საკონსტიტუციო სასამართლოს კლინიკა (10 კრედიტი)
- საქპატენტის კლინიკა (10 კრედიტი)
- ცენტრალური საარჩევნო კომისიის კლინიკა (10 კრედიტი)
- ერისთავის იურიდიული ჯგუფის საადვოკატო კლინიკა (10 კრედიტი)
- კორძაძის საადვოკატო ბიუროს კლინიკა (10 კრედიტი)
- იურიდიული ფირმა "მგალობლიშვილი ყიფიანი ძიძიგურის" საადვოკატო კლინიკა (10 კრედიტი)
- საადვოკატო და საარბიტრაჟო კლინიკა (საარბიტრაჟო ინსტიტუტის ბაზაზე) (10 კრედიტი)

მოდული III

- პროფესიული ეთიკა (5 კრედიტი)
- პრაქტიკული უნარ–ჩვევები (5 კრედიტი)

პრაქტიკული კომპონენტის დაძლევისათვის სავალდებულოა კრედიტების დაგროვება თითოეული მოდულიდან.
კლინიკების ჩამონათვალი არ არის ამომწურავი.

სწავლის შედეგების რუკა:

შედეგი / საგანი	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენები	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები

		ს უნარი				
შედარებითი საკორპორაციო (საზოგადოებათა) სამართალი	X	X	X	X		X
საბანკო (ორგანიზაციული) სამართალი	X	X				
საწარმოს კონტროლი კაპიტალურ საზოგადოებაში	X	X	X	X		X
ევროპის საკორპორაციო სამარ-თალი	X	X				
სამართლის ტრანსფორმაციის პრობლემები	X	X	X			
საკუთრების უფლება სა-ქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასა-მართლოს პრაქტიკაში	X	X				
შედარებითი კერძო სამართალი (პოსტსაბჭოთა ქვეყნების კერძო სამართლის კონტექსტში)	X	X	X			
არასრულწლოვანთა მართლმსაჯუ-ლება	X	X	X	X		X
მართლმსაჯულების განხორციელების პრინციპები	X	X	X	X	X	
სისხლის სამართლის პროცესი და სასამართლო პრაქტიკა	X	X	X			X
დაცვის ხელოვნება	X	X	X	X	X	X
ინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული	X	X				
ქმედების დანაშაულად კვალიფი-საციის ზოგადი თეორია	X	X	X			
სასამართლო პროცესის ორგანი-ზაცია	X	X	X	X	X	
სისხლის სამართლის თეორიის მეთოდოლოგიური პრობლემები	X	X			X	
შედარებითი ადმინისტრაციული სამართალი	X	X	X	X		X
ადმინისტრაციული ორგანოს პასუ-ხისმგებლობა	X		X	X	X	X
საკონსტიტუციო მართლმსაჯულება	X	X	X	X	X	X
ადმინისტრაციული სამართლის პრობლემები	X	X	X	X	X	X
გარდამავალი პერიოდის მართლ-მსაჯულება	X	X	X	X		X
სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღება და დასაბუთებულობა	X	X	X		X	X
პრაქტიკული კომპონენტი		X		X		

XII. პროგრამის ხელმძღვანელი: იურიდიული ფაკულტეტის საბჭო; პროგრამის კოორდინატორი: თსუ იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი ირაკლი ბურდული.

XIII. ადამიანური და მატერიალური რესურსი: პროგრამის განხორციელებაში

ჩართულია ძირითადი შტატის 14 პროფესორი და 30 მოწვეული პროფესორი. სამეცნიერო კვლევის მატერიალურ-ტექნიკური სასწავლო ფართი 2500 $მ^2$-ზე მეტი (აუდიტორიები, საპროფესოროები, *ბიბლიოთეკა – მხოლოდ იურიდიული ფაკულტეტის ბიბლიოთეკაში (16703 ეგზემპლარი*; მათ შორის – სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები (12005 ეგზემპლარი), ასევე, ჟურნალები, სასამართლო გადაწყვეტილებები, ლექსიკონები, ნორმატიული მასალა და სხვა ლიტერატურა, ელექტრონული რესურსები); 130 კომპიუტერი.

XIV. პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა: სამაგისტრო პროგრამის ფინანსურ უზრუნველყოფას ახდენს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტი, საიდანაც იურიდიული ფაკულტეტისათვის გამოყოფილი თანხა შეადგენს 2736784 ლარს.